ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საქმე №3/3505-19

15 მაისი, 2019 წელი
ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ანა ჩხეტია

შუამდგომლობის ავტორი - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მოთხოვნა - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1267 (1999), 1989 (2011) და 2253 (2015) რეზოლუციის საფუძველზე შექმნილი "ისლამური სახელმწიფოსა" ("დაეში") და "ალ-ქაედას" სანქციების კომიტეტის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციის საფუძველზე განსაზღვრულ პირთა სიაში დამატებული ფიზიკური პირის ქონებაზე ყადაღის დადება

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შუამდგომლობა და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2019 წლის 10 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარმოდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილის შუამდგომლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1267 (1999), 1989 (2011) და 2253 (2015) რეზოლუციების საფუძველზე შექმნილი "ისლამური სახელმწიფოსა" ("დაეში") და "ალ-ქაედას" სანქციების კომიტეტის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე განსაზღვრულ პირთა სიაში დამატებული 1 ფიზიკური პირის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე

| პირადი ინფორმაცია (სახელ(ებ)ი, დაბ. თარიღი და ადგილი, ეროვნება / მოქალაქეობა) | ფსევდონიმ(ებ)ი, ზედმეტსახელ(ებ)ი | პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი | მისამართი/შესაძლო ადგილსამყოფელი | სიაში შეყვანის თარიღი | სხვა ინფორმაცია |
|---|---|---|---|---|---|
| 1) *სახელები:* | ა) მასუდ აზჰარ | | | 2019 წლის 1 მაისი | ჯაიშ-ი-მოჰამმედის დამფუძნებელი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1) მოჰამმედ (MOHAMMED)<br>2) მასოოდ (MASOOD)<br>3) აზჰარ (AZHAR)<br>4) ალვი (ALVI)<br><br>*სახელი (დამწერლობა წარმოშობის ქვეყანაში): (Name (original script):*<br>بولع ربطا دوعسم دمحم<br><br>*დაბადების თარიღი*<br>ა) 1968 წლის 10 ივლისი (10 Jul. 1968);<br>ბ) 1968 წლის 10 ივნისი (10 Jun. 1968)<br><br>*დაბადების ადგილი:*<br>ბაჰავალპურ, პენჯაბის პროვინცია, პაკისტანი (Bahawalpur, Punjab Province, Pakistan)<br>*მოქალაქეობა:*<br>პაკისტანი (Pakistan) | (Masud Azhar);<br><br>ბ) ვალი ადამ ისაჰ (Wali Adam Isah);<br><br>გ) ვალი ადამ ესაჰ (Wali Adam Esah) | | | (1 May 2019) | (QDe.019), ჰარაკატ-ულ-მუჯაჰიდინის (HUM) ყოფილი ლიდერი (QDe.008).<br><br>(Founder of Jaish i Mohammed (QDe.019). Former leader of Harakat ul-Mujahidin / HUM (QDe.008)). |

სასამართლო გაეცნო რა საქმის მასალებს, მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის $21^{9}$ მუხლის თანახმად, ბრძანებას ტერორიზმთან დაკავშირებული პირის ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-7 თავის შესაბამისად მიღებული რეზოლუციებით განსაზღვრული პირის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო

კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. ქონებად მოიაზრება ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, ან ამ შემოსავლით შეძენილი ქონება, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ, დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად ფლობენ, სარგებლობენ ან განკარგავენ ამ თავით განსაზღვრული პირები.

ამავე კოდექსის $21^{31}$-ე მუხლის მიხედვით, ტერორიზმთან დაკავშირებული პირის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე კომისიის შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს და მასში უნდა მიეთითოს ტერორიზმთან დაკავშირებული პირის და მისი ქონების შესახებ მონაცემები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით განსაზღვრული პირის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე კომისიის შუამდგომლობა ეფუძნება გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციების შესრულების ზედამხედველობისთვის პასუხისმგებელი კომიტეტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

ამავე კოდექსის $21^{32}$ მუხლის თანახმად, კომისიის შუამდგომლობის განხილვისას სასამართლო მხედველობაში იღებს ყადაღას დაქვემდებარებულ ქონებაზე კეთილსინდისიერ მესამე პირთა უფლებებს. კომისიის შუამდგომლობის განხილვისას თუ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ მასში მითითებული პირი არის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით განსაზღვრული პირი ან/და ტერორიზმთან დაკავშირებული პირი, იგი გამოსცემს ბრძანებას აღნიშნული პირის ქონებაზე ან ქონების ნაწილზე ყადაღის დადების თაობაზე. პირის ქონებაზე ყადაღის დადება ხდება უვადოდ, ვიდრე არ მოხდება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმება.

დასახელებული ნორმების მხედველობაში მიღებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს შუამდგომლობით დასახელებული პირის ქონებაზე ყადაღის დადების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის $21^{30}$-ე-$21^{34}$-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. დაედოს ყადაღა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1267 (1999), 1989 (2011) და 2253 (2015) რეზოლუციების საფუძველზე შექმნილი "ისლამური სახელმწიფოს" ("დაეში") და "ალ-ქაიდას" სანქციების კომიტეტის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე განსაზღვრულ პირთა სიაში დამატებული შემდეგი 1 ფიზიკური პირის ქონებას:

| პირადი ინფორმაცია (სახელ(ებ)ი, დაბ. თარიღი და ადგილი, ეროვნება / მოქალაქეობა) | ფსევდონიმ(ებ)ი, ზედმეტსახელ(ებ)ი | პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი | მისამართი/შესაძლო ადგილსამყოფელი | სიაში შეყვანის თარიღი | სხვა ინფორმაცია |
|---|---|---|---|---|---|
| 1) | ა) მახსუდ | | | 2019 წლის | ჯაიშ-ი-მოჰამედის |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *სახელები:*<br>1) მოჰამმედ<br>(MOHAMMED)<br>2) მასოოდ<br>(MASOOD)<br>3) აზჰარ<br>(AZHAR)<br>4) ალვი<br>(ALVI)<br><br>*სახელი (დამწერლობა წარმოშობის ქვეყანაში):*<br>*(Name (original script):*<br>ىولع رهظا دوعسم دمحم<br><br>*დაბადების თარიღი:*<br>ა) 1968 წლის 10 ივლისი<br>(10 Jul. 1968);<br>ბ) 1968 წლის 10 ივნისი<br>(10 Jun. 1968)<br><br>*დაბადების ადგილი:*<br>ბაჰავალპურ, პენჯაბის პროვინცია, პაკისტანი<br>(Bahawalpur, Punjab Province, Pakisran)<br>*მოქალაქეობა:*<br>პაკისტანი<br>(Pakistan) | აზჰარ<br>(Masud Azhar);<br><br>ბ) ვალი ადამ ისაჰ<br>(Wali Adam Isah);<br><br>გ) ვალი ადამ ესაჰ<br>(Wali Adam Esah) | | | 1 მაისი<br><br>(1 May 2019 ) | დამფუძნებელი (QDe.019). ჰარაკატ-ულ-მუჯაჰიდინის (HUM) ყოფილი ლიდერი (QDe.008).<br><br>(Founder of Jaish-i-Mohammed (QDe.019). Former leader of Harakat ul-Mujahidin / HUM (QDe.008)). |

3. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის გამოცემისთანავე და მისი გასაჩივრება არ აჩერებს ბრძანების მოქმედებას;

4. ბრძანება განთავსდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (ქ.თბილისი, გრიშაშვილის ქ. №7ა)

მხარისათვის მისი ეგზემპლარის გადაცემიდან 48 საათში, ხოლო თუ გადაცემა ვერ ხერხდება, ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნებიდან 48 საათის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6)

მოსამართლე ანა ჩხეტია